სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 937

დამატების № 165

ტფილისი, 7 ივლისი 1913 წ.

იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე.



I ოსმალ. დიდი ვეზირის, **მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის** ცხედარი.

II უკანასკნელი შეთქმულობის მონაწილენი, რომელნიც სიკვდილით დასაჯეს:
1) თოფალ-თევფიქი, 2) ჯევადი, 3) ზია, 4) ნიზამი, 5) შაფირ-აბდურახმანი, 6) პოლიციის უფროსად ნამყოფი მოჭუბი, 7) ქიორი ემინი, 8) ნაზმი-ფაშა.

იდუმალოგის ფინაშე

მეგობართადმი

თვით ნაგრძნობი და განცდილი,
ამბად თქმული, წაკითხული,
იშვიათი, იდუმალი,
შაირებში შენათხზული—
იყოს თქვენთვის ჩემს სახსოვრად,
შიგან ჰნახეთ ჩემი წყლული;
რა მაწუხებს და რა მტანჯავს,
რისგან შფოთავს მარად სული.
ამოცანად გარდამექცა
ჩვენი ყოფნა, დასასრული;
სიდგან მოვალთ? სად მივდივართ?
რა მიზანი გვაქვს ჩვენ სრული?
ნუ თუ მართლა მიწა ვართ და
ისევ მიწად გარდვიქცევით?
მოვისპობით სამუდამოდ,
სიკვდილისგან დავიძლევით?
რაღა დარჩეს ჩვენს შემდგომად,
კვლავ ვსულდგმულობთ მიწის ზევით?
ამ მწარე ფიქრს შევუპყრივარ,
ამას ვჩივი ცრემლის ფრქვევით.



მყავდა ერთი მეგობარი;
გრძნობით სავსე, დიდის ნებით;
სიკვდილზედან ლაპარაკი
მას უყვარდა დ: ჟინებით.
იდუმალსა ცხადსა ჰყოფდა,
შეამკობდა ფერადებით.
ვფიქრობ იგი მოსულიყო
სხვა ქვეყნიდან უცხო გრძნებით.
რა ნათელ აზრს მოჰქარგავდა,
დაჰხატავდა სურათებით,
ის მატკბობდა, ხან მტანჯავდა
სხვა და სხვა გვარ საუბრებით.
ერთხელ მითხრა: მეგობარო,
მთლად ადამი არა კვდება;
რაც კი იყო, ის კვლავ არის,
არის ისევ ის არსება;
კვლავ განაგრძობს თავის ყოფნას,
მხოლოდ სახე მას ეცვლება.
ადამი ხომ მარტოოდენ
სხეულისგან არ შესდგება;
მასში არის ერთი რამე
დრო-სივრცეს არ ჰმორჩილდება;
მას ვერც ჟამი ანადგურებს,
ვერც წყვდიადი ედავება.
ღვთაებრივი ნაპერწკალი:—
არის სული—უკვდავება.
იგი წმინდა ჩვენ გვამაღლებს
და შეგნება გვენიჭება.
—მეგობარო, ნება მომეც,
შენს მსჯელობას დავსდო წუნი;
მაგ შენს აზრსა, უკვე ნათქვამს
ძველის-ძველი უდის სუნი.
გამოტეხით ამას გეტყვი:
არ არსებობს კაცში სული.
ჩვენ სხვათაებრ ცხოველნი ვართ,
შეგნებულნი, უფრო რთულნი.
რა ვიყავით უხსოვარ დროს,
პირველ ხანად ჩასახულნი?
და რა დიდმა ჟამმა განვლო,
ვიდრე ჩვენს თავს მივახწევდით?
ვიდრე ასეთს, როგორც დღეს გვაქვს,
კაცის სახეს მივიღებდით?
ადამიანს წინ იმით სწევ,
ღვთის ხატებაც მისთვის ჰქვიან,
რომ მას ფიქრი, მეტყველება,
სიყვარული შეუძლიან?
რომ სიძულვილს გულში ჰმარხავს,
მისის მტრობით არსნი კრთიან?
ეს ხომ ძალუძთ პირუტყვებსაც,
ასეთ გრძნობას განიცდიან.
ჰნახე, ერთურთს თუ ირმები
როგორ ეალერსებიან!
ანუ როდეს შურს იღებენ,
ერთმანეთის სისხლსა ჰღვრიან.
ხვადნი ლომნი ძუ-ლომისთვის
ერთმანეთსა რისხვით ბღღვნიან.
ანუ გესმის ერთმანეთში
კიდეც რომ არ საუბრობენ?
რადგან მათი ჩვენ არ გვესმის
უნდა ვსთქვათ რომ არა ბჭობენ?
მე მინახავს ჩხიკვნი როგორ
იცინიან და მასხრობენ
თუთიყუშებს ოდეს ჰშიანთ
თავის პატრონთ მოუხმობენ.
„დროა ვჭამოთ, მოდი, მოდი“!
ასე ლექსით მოუხმობენ.
ეგ რათ გინდა, ერთს მაგალითს
მეც მოგიყვან, მიგდე ყური;
ვგონებ ამით ნათელ იყოს
მდაბალ არსთა დიდი შური.
ექიმს ჰყავდა მაიმუნი
ხნობით ხელზე შეჩვეული;
აჭმევდა და ინახავდა
ჰყო გაწრთვნილი, მოქცეული;
მაგიდაზე თვისთან ეჯდა,
ტანსაცმელით სუფთად რთავდა;
სასეირნოდ მიდიოდა,
მაიმუნიც თან მიჰყავდა.
მაგრამ ბოლოს ამ ექიმმა
რა შეირთო ქალი ცოლად,
მუდამ მასთან საუბრობდა,
ის მიაჩნდა გულის სწორად;
მაიმუნს კი აგრე რიგად
არ აქცევდა ყურადღებას;
ეს ეწყინა ძველს მეგობარს,
ხელი მიჰყო დანაღვლებას;
აღარც სჭამდა, აღარც სვამდა,
მისი გული მოსწყდა შვებას.
სულ ჯავრობდა, ბუზღუნებდა,
იყო კუთხეს ატუზული,
„მეგობარი დავკარგეო“
ალბად გულში ჰქონდა წყლული.
როს ექიმი სხვაგან იყო
საქმეზედან შორს წასული,
შეამტვრია მაიმუნმა
საწოლ ოთახს ძალით კარი
და დაუხრჩო ექიმს ცოლი,
ჰყო საბრალო იგი მკვდარი.
როგორც გინდა ისე ახსენ:
გინდ სთქვი პირუტყვს ჰქონდა მტრობა,
ანუ ვითმე მეგობრობის
ერთგული და მკვიდრი გრძნობა,
გინდა შური, რომლის გამო
შუაღამეს მოჰკლა ქალი,
მაინც ამით ერთს დაასკვნი
და იქმნება ეს მართალი
რომ ჰქონიათ პირუტყვებსაც

აზრი, სთქვი თუნდ, მეტად მკრთალი!
რა მიკვირდეს მაღალ ცხოველს—
კაცსაც ჰქონდეს ეს თვისება?
რაღას აქნევს სული ჩვენი,
იგივ აზრი გვეკითხება?
კაცი მრავალ საუკუნეს
რა სხეულით განვითარდა,
ავარჯიშა თვისი აზრი
გრძნობაც მასვე შეუფარდა
და ეს არის სულს რომ ვუხმობთ
ეს ტვინისგან აღმოცენდა
„ნერვებია ჩვენი სული“,
ბრძენი ასე მოგვასმენდა.
—სცდები ლევან! დიდად სცდები!
ვერ მიიპყარ მაგით სმენა;
იდუმალსა თუ გსურს მისწვდე,
კიდეც უნდა გქონდეს რწმენა.
—მისი რწმენა, რაც არსებობს,
მქონდა, მაქვს და კვლავ მექნება;
რაც არ არის, თვით რად შევქმნა,
რად ემონოს მას გონება?
—მე მრწამს სულის არსებობა,
მრწამს აგრედვე ის ღრმა—ერთი,
ვისგან სული ბე შთამედგა,
ვის სახელად ჰქვიან ღმერთი.
მან დაგვბადა, სთქვა: „მეძიე
ცა და ქვეყნის შემაერთი
და როს მპოვებ, შენს თავს ჰპოვებ,
მით შეიგნებ მაღალ მცნებას;
კაცი კაცად იწოდები,
ჩემში ჰპოვებ შენსავ შვებას!“
ვით შენ სოფლის ბრძენთა სწავლა
შეიგენ და ჩაისახე,
შენთვის მასში ნათელია:
სიკეთე თუ სივაგლახე—
ეგრევ ჩემთვის ნათელია
ჭეშმარიტი ღმერთის სახე.
მე მასში ვარ, იგი ჩემში,
სრულყოფილი იგი ვნახე.
მე ავმაღლდი, თუ ის ჩემთან
ძირს დაეშვა, მომეახლა—
ეს არ ვიცი, ვიცი მხოლოდ
მე მასთან ვარ, მას ვგრძნობ ახლა!
—ძმაო გოგი! თავს იტყუებ!
ეგ ოცნება არის შენი;
შენის აზრის ქანდაკება,
შენის ყოფნის დამამშვენი.
სხვისთვის ეგეევ წარმოდგენა
არს სხვა გვარის თვისებისა,
რადგან თვით „მე“ განსხვავდება
ყოველ ცოცხალ არსებისა.
ღმერთს თვით შენ ჰქმნი შეგნებაში
და იმდენად მაღალს, დიადს,
რავდენადაც ეს შეგფერის
დიდ ბუნების ადამიანს.
შეიძლება შენგან ქმნილი
სხვებმაც ღმერთად აღიარონ
და შენგანვე ნაკარნახევ
გზაზე ერთხმად მათ იარონ;
დრო გაივლის, შენი ღმერთი
მშრალ ქვის კერპად გამოჩნდება,
რის დამსხვრევას უამრავი
საუკუნე დასჭირდება.
შენ ამბობ თუ „მივსწვდი ღმერთსო“,
მით განიცდი აღტაცებას,
შენ ააგე ტურფა კოშკი
თვით შეუქმენ ღმერთი ნებას
და მას მისწვდი, მეგობარო,
ღმერთს კი არა—შენს ოცნებას!
ვსთქვათ, რომ ღმერთსა მისწვდი კიდეც
და შეიგენ იდუმალი,
რაღა ფასი უნდა ჰქონდეს,



საფრანგეთის გამოჩენილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **ჰანრი როშფორი**, რომელიც ორი კვირის წინად გარდაიცვალა.

ერთი მომეც სამართალი!
მე გამჩნევ, რომ მირისხდები,
დაიმშვიდე შენი გული!
განა ერთი გარდაცვლილა?
სად წავიდა მისი სული?
რატომ აღარ გვეცხადება?
ჰქმნას რამ მცირე სასწაული.
სჩანს რომ იგი არ არსებობს,
ტვინთან ლპება ჩვენი სული,
ეს ვითომდა ღვთის ხატება,
ვითომ მისგან კურთხეული.
—მგოსანს ეთქვამს: „ურწმუნომ სთქვა:
არ არსებობს ღმერთი ზენა
ეს სოფელი თვისით ჰგიებს,
ოდიდგანვე აქვს მას ჩენა.
და ბუნების წესსა იკვლევს,
მაღალსა და ესდენ რთულსა
და ვერ ჰხედავს თვით ამ წესში
შემომქმედის დიად სულსა“.
შენც, ურწმუნო, იმეორებ
რაც ოდესმე უკვე თქმულა:
„მოგვევლინოს სული ვითმე,
თუ არსებობს, სად დანთქმულა?“
გეტყვი: იგი მოჰვლენია
რჩეულ ხალხსა განცხადებით
და უყვია სული მათი
უფრო მეტის განმტკიცებით.
მე ნაცნობი მყავდა ერთი,
ვუწოდებდი მეგობარსა.
მე ვსცხოვრობდი ერთ სოფელში
ის მეორე სოფლის კარსა.
ერთ დღეს მარტო სახლში ვიჯექ,
ოცნებაში ვშაირობდი.
ხმა მომესმა ბაღის კარით,
მე ამ ხმასა უკვე ვსცნობდი.
დამიარა ჟრუანტელმა,
რაღაც ვიგრძენ საშიშარი;
გადვიხედე ფანჯარიდან,
გარედ იდგა მეგობარი.
ორი წლისა უნახავი,
საყვარელი, მუდამ წყნარი.
შუბლზე სისხლი დასდიოდა,
სახე ჰქონდა თითქოს მწყარალი,
უმალ გარედ გამოვვარდი,
გულში მქონდა მისი ბრალი.
იგი სულ წინ მიდიოდა,
და თანდისთან მშორდებოდა;
შევუძახე: შესდექ, ძმაო!
გული ბოლმით მევსებოდა.
ვფიქრობდი თუ, რაა მის თავს,
მისი სახე რამ დაღარა?
მითხრა მხოლოდ: „მშვიდობითო“
და მსწრაფლ გაჰქრა, მიეფარა!
ჩემ წინ მხოლოდ ეთერს ვსჭვრეტდი,
მხოლოდ სივრცეს, მას ველარა.
მეორე დღეს მშობლებიდან
მომივიდა მე უსტარი:
მოეწერათ: „მამულის მტერთ
მოგიკლესო მეგობარი!“
გავეშურე მის სოფლისკენ,
საკვირველი რამე ვნახე:
ეგრევ ის შუბლ განგმირული,
ეგრევ მისი მწყარალი სახე!
—მაგით მითომ ნათელ ჰყავი
ქვეყნად სულის მოვლინება?
ეგ რაცა სთქვი, ჩემო ძმაო,
სულ სხვა გვარად აიხსნება.
ემაგ შენის მაგალითის
აწ ისმინე განმარტება.
თუ კი აზრის გარდაცემა
უმავთულოდ შეიძლება,
მაშ ხომ შევძლებთ ჩვენ ერთმანეთს
შთავაგონოთ გრძნობა დია,
მით უმეტეს ჩვენს სხეულში
არის ძალა, ენერგია.
ეგ რად გინდა, მეც ერთს გეტყვი
არა ეგრე სამწუხაროს:
მყავდა ერთი გულის სატრფო,
მასში ვსჭვრეტდი ჩემს სამყაროს.
სულ იმ ქალზე ვოცნებობდი,
გული შვებით მევსებოდა;
ჩემს გარშემო, ჩემსა ირგვლივ
ვერ ვამჩნევდი რა ჰხდებოდა.
იმის ხმას თუ გავიგებდი,
ხოლო სხვისი არ მესმოდა.
ჩემს თავს თუმცა თვით ვებრძოდი,
ვერ ვილხინე, ვერც ვიცინე;
გაზაფხულის ერთ ღამესა
ვერ იქმნა ვერ დავიძინე.
განუწყვეტლად ტანჯვით, ღელვით
სულ იმ ქალზე ვოცნებობდი;
„ის აქ მოვა! ის აქ მოვა!“
ღრმად ჩემს გულში ასე ვგრძნობდი.
შორს მამლებმა დაიყივლეს
და საათმა დაჰკრა სამი;
და შენ ჰნახე, თუ რა მოჰხდა,
საკვირველი იყო წამი.
კარებს ვიღაც მირაკუნებს.
შევკრთი. კიდევ. ერთი, ორი!
რა გავაღე, დავინახე
საყვარელი სულის სწორი.
ვით მძინარე, ეგრე იყო,
მას ფერმკრთალად უჩნდა სახე,
ჩურჩულებდა: „შენთან მსურდა...
მსურდა გულით შენ მენახე“.
თუნდ იმ ღამეს სიტყვა მეთქვა
მის საწყენად ვითმე მკვახე,
წამერთმივინა სიქალწულე,
მოსაკვლელად მეგო მახე—
ჩემი იყო ჩემი მონა,
ყველაფერზე მნებდებოდა;
თვის ბინაზე მივაცილე.
ამ დროს უკვე თენდებოდა.
მესამე დღეს იგი მხვდება
და ღიმილით მეკითხება:
„იმ დღეს გნახე და არ ვიცი,
მხოლოდ ოდნავ მახსენდება,
ცხადი იყო, თუ სიზმარი?“
არა მსურდა შეშინება
და მივუგე: ალბად სიზმრად,
ეს ხანდისხან ასე ჰხდება!
შენ თუ ვითომც სული ჰნახე,
მე ნამდვილი სატრფო ქალი,
აჩრდილივით შემოვიდა,
მიბნედილი, სახე მკრთალი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

და ეს რითი აიხსნება?
ჰგონებ იყოს სასწაული?
სულაც არა! მე ვყავ ქალი
შთაგონებით შემჭვალული.
მისი ძალა, ჩემმა ძალამ
შეიპყრო და ჩემკენ სწია.
ჩვენი გრძნობა იმორჩილებს,
ჩვენზედ უფრო ვინც სუსტია.
და შენც, ასე, როს კვდებოდა
მეგობარი მოგეჩვენა,
თვისი ფიქრი გაგრძნობინა
სხვა აქ რისი გვქონდეს რწმენა?
და ფიქრი ხომ ნაყოფია
ისევ ტვინის, სულის არა!
ჩემი ახსნა მართალია,
რა ვქმნა შენ თუ შეგეზარა?!
როგორადაც ჰაერ-ტალღას
ჩვენსკენ მოაქვს ხმოვანება,
ეგრევ მოაქვს სხვის ნაგრძნობი
და ჩვენს გრძნობას ექსოვება.
შენს ოცნებას ზეალაფრენ,
თუ მიწაზე ინავარდებ,
მატერიას ვერ გასცდები,
მუნ დასჭკნები, მუნ ივარდებ.
—სული როგორ არ არსებობს?
იგი უკვე არსებობდა,
ეს ჩემი „მე“ გვამში მყოფი—
—სული ჩემი—იქ სცხოვრობდა,
იქ, შორეულ ქვეყანაში,
ვიდრე არსი არსად მშობდა.
მაშ რით არის, რომ ხანდისხან
ჩემში აზრი გაიელვებს
და ეს თვისის ნაცნობობით
სულს სიამით ამიღელვებს.
მითქვამს: ეს ხომ უკვე ვიგრძენ,
უკვე იყო ზიარქმნილი;
ეს შორს სადღაც და ოდესღაც
უკვე მქონდა შეგრძნობილი,
სწორედ ეს ხმა მოვისმინე,
ვნახე სწორედ ეს არსება;
თუ ოდესმე ბრძენს რამ უთქვამს
იგი ისე მეთვისება,
თითქოს უკვე ეს ვიცოდი
სული ისე ეთანხმება.
ან თუ ჰნახავ ტურფა ასულს,
სულის თვისტომს, მონარნარეს
თითქოს შორს, შორს ხანგრძლივობის,
მარადობის იქით მხარეს
უკვე ჰნახე, ესაუბრე,
თუმც არ გითქვამს სიტყვა წყნარი,
გეჩვენება, თითქოს იყავ
საუკუნით მოუბარი.
ის რას ფიქრობს—უკვე იცი,
რას იფიქრებ—უკვე ჰგრძნობდა,
რადგან სული ერთმანეთის
ერთმანეთსა უკვე სცნობდა.

გეტყვი ჩემს თავ-გარდასავალს:
შემისრულდა ოცი წელი;
რაც შემემთხვა მე ამ ხანად,
სწორედ არის საკვირველი.
იმ დროს გულში თუ რას ვგრძნობდი,
მე არ ვიყავ სხვასთან მთქმელი.
ჩემს საუნჯეს იდუმალად
მარტოდ-მარტო ვატარებდი;
უცნობ მიჯნურს შევხვაროდი,
მასზე ფიქრით ვნეტარებდი.
ჩემმა სულმა დამიხატა
მისი სახე, მისივ სული
და მეტყოდა: მას შეჰხვდები,
მოვა შენთან ის ასული!
ერთ დღეს ვიყავ დაღვრემილი,
წინად გრძნობა თავს იწევდა
და ჩამთვლიმა. ცხად სიზმარში
განმეფანტა გულის სევდა.
ბუნდად ვნახე, ვიღაც ქალი
სასეირნოდ მიმიწვევდა.
თითქოს მითხრა მან ჩურჩულით:
„ბაღში გიცდი, მოვედ, გელი!“
მეც შენსავით არა მრწამდა,
ამხდარიყო საკვირველი.
მაინც გაველ სასეირნოდ,
ჩემსა ნებას თვით მივყავდი.
არ მეგონა, მართლა ქალსა
უცნობ მიჯნურს მუნ ვნახავდი.
მიველ ადგილს. ერთი ტურფა
მარტო იჯდა, ოცნებობდა;
დამინახა, ზეწამოდგა,
რიღაცის თქმას აპირობდა,
მაგრამ შერცხვა, თრთოლვით დაჯდა,
დუმილს კვალად განაგრძობდა.
მისვლა მსურდა. ვერ გავბედე,
მხოლოდ გვერდით ჩავუარე.
ერთხელ უკან მივიხედე,
კვლავ მიმზერდა მონარნარე.
თითქოს იგი მანიშნებდა:
„აკი შეგხვდი, შეგეყარე!“
მაინც მისვლა ვერ გავბედე,
წაველ, თვალსა მივეფარე.
ვამბობდი თუ ეგებ შეცვლილ,
მომატყუა გრძნობამ ასე;
არ ვერწმუნე იქ ნახულსა,
იგი ეჭვით შევაფასე.
დავრჩი მხოლოდ საგონებელს,
არ გაევლო ერთ თვეს ჯერა,
რომე ქართლის ერთ სოფლიდან
იმ ქალს წიგნი მოეწერა.
გავხსენ იგი, წავიკითხე
და იცი თუ რას მამცნობდა?
„შემინდეო გამოტეხა“
ასე წერილს ჩაურთობდა.
„ამას წინად ქალაქს ვიყავ
და ვერ გეტყვით თუ რა ძალმა,
რა სურვილმა შეუცნობმა,
რა ძლიერმა გრძნობის ალმა
მაიძულა მანდ წამოსვლა
ჩემთვის ესდენ იდუმალმა!
მხოლოდ გეტყვით და ნუ მიწყენთ
ვიდრე ცხადად მანდ გნახავდით,
ჩემს სულში თუ ოცნებაში
მე ნანახი უკვე მყავდით.
თქვენი ლანდი უკვე იყო
მარად ჩემთვის სანუკვარი
და მიყვარდით წმინდის გრძნობით
ჩემი სიზმრის მეგობარი!“
ამან მეტად ჩამაფიქრა,
მასთან წასვლა განვიზრახე;
ვსთქვი და კიდეც ავასრულე,
მიველ ტურფა იგი ვნახე.
და, რა ბევრი განვაგრძელო,
ვსცანით ჩვენი სიყვარული;
შეეხვდი ასე სულის თვისტომს,
იქმნა ჩემზე დანიშნული;
უნდა წლის თავს გვექორწილნა,
გვედიადნა სიხარული.
მე ჩამოველ ისევ ქალაქს,
ქორწილის დროს მოველოდი;
ერთ დღეს თავი ცუდად ვიგრძენ,
გულზედ მაწვა თითქოს ლოდი.
ღამე კარგად ვერ მეძინა,
წინადგრძნობით ისე ვთრთოდი.
განთიადზე ჩამეძინა
და რა ვნახე, მეგობარო?
ვაი, იგი მოგონება
მექმნეს მარად სამწუხარო!
სიზმრად ვნახე: ჩემი სატრფო
ბაღში ჰკრეფდა ფერად ვარდებს;
და თან ტკბილად დამღეროდა
თვის სიხარულს თუ თვის დარდებს.
შემდეგ ერთ ბუჩქს მიაშურა
მუნ სოსანი იდგა ჭრელი;
მოწყვიტა და დავინახე
შემოეჭდო ფეხზე გველი.
როგორც შლეგი წამოვვარდი
ტანჯვა ვიგრძენ შემხუთველი.
მეორე დღეს სიდედრისგან
დეპეშს ვიღებ, ვხსნი მწუხარე,
და ვკითხულობ: შენი ნუნუ
ავად არის, დაეჩქარე.
გული დამწყდა, ტყვია მომხვდა,
ცრემლი ცხელი გადმოვღვარე.
გავეშურე მიჯნურისკენ,
ხალხი დამხვდა მგლოვიარე.
შორიდანვე მომესმოდა
ტირილი და კვნესა მწარე;
ნუნუსათვის გველს ეკბინა,
მოეშხამნა ჩემი მთვარე.
და მას შემდეგ ათმა წელმა
ჩემთვის ტანჯვად გაირბინა;
სხვას ვერავის შევეთვისე,
სხვასთან ველარ ვპოვე ბინა.
ცხოვრებაში ჩემმა სულმა
სხვა სატრფო ვერ აღმიჩინა
იგი ეგრევ წმინდად მიყვარს
ნათლად მიდგა კვლავ თვალწინა;
ისევ იმას შევეყრები,
ვინც მე ერთხელ აღმაფრინა.
მე ხომ ზღაპარს არ გიამბობ,
ეს ჩემს თავზე განვიცადე;
როგორ ვნახე ის სიზმარი,
აზრში როგორ დავიბადე?
რაც შორს მოხდა სინამდვილედ,
ასე როგორ განვიცხადე?
შენ ამას ჰხსნი შთაგონებით,
ეგ არ არის ახსნა სრული;
აქ ის ძალა ამოქმედდა
სახელად რომ ჰქვიან სული.
როს ჩვენ გვძინავს, იგი ფხიზლობს
აზრის, ტვინის გარეითად;
რასაც იგი თვისით ჰხედავს,
მოაქვს ჩვენთან აზრის ტვირთად.
აზრმისახწევ საზღვრებამდე
ვიგებთ, ჰხედავს აზრის თვალი;
საზღვარს იქით რაც არსებობს,
ჯერ უცნობი, იდუმალი,
იმას მხოლოდ სული სწვდება,
სული მარად ჩაუმქრალი.
ამ ქვეყნიურ სიცოცხლემდის
ჟურჟელია მისთვის გვამი:
გვამი მხოლოდ წუთიერი,
ოდეს ხორცი სჭკნება, მისთვის
სხვა იწყობა მაშინ ჟამი.
აი, ეხლა, როს ჩვენ ორთა
საუბარი გვაქვს გაბმული,
იცი? ეგებ ჩვენთან ახლოს
წინაპრისა იყოს სული.
ეგებ მთელსა სამყაროში
სხივი იყოს გაფანტული,
რომლის გამო ჩვენ თვალთათვის
უჩინარი ჰხდება სული.

—ჰბოდავ ძმაო, სიზმარში ხარ!—
ჩემი სიტყვა ნუ იტკიცე.
თუმც ბევრი სთქვი, მაგ ნათქვამით
ვერაფერი დამიმტკიცე;
მაგ შენ მგოსნურ მოთხრობილსა
საფუძველი არ აქვს მტკიცე!

(დასასრული იქნება)

ა. შანშიაშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.